# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№569 2020 წლის 19 მარტი ქ. თბილისი

## საქართველოს მთავრობასა და Bureau Expo Dubai 2020-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების თაობაზე

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და Bureau Expo Dubai 2020-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ირაკლი ნადარეიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია